



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებს კანონმდებლობით

მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა 2016 წლის მაისში განხორციელებული ცვლილებები, რომელთა მიზანია მანამდე არსებული მოგების გადასახადის ჩანაცვლება ე.წ. "განაწილებული მოგების გადასახადით", რომელიც ესტონური მოდელის მსგავსია.

„განაწილებული მოგების გადასახადის“ მოდელი ეხება მხოლოდ საქართველოში რეზიდენტ საწარმოსა და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივ დაწესებულებებს. ცვლილებების მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთი დარჩა უცვლელი და შეადგენს ისევ 15%-ს.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

ცვლილებების შესაბამისად, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების“ განხორციელების შედეგად ნავთობისა და

გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10%-ით, თუ ეს ხელშეკრულება დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის იანვრამდე, ახალი რეგულაციები არ ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, საკრედიტო გაერთიანებებზე, სადაზღვევო ორგანიზაციებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებზე.

➤ **განაწილებული მოგება**

განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება. საგადასახადო კანონმდებლობაში დივიდენდი განმარტებულია, როგორც აქციონერის/მოწილის მიერ აქციებიდან ან წილებიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად და რომელსაც იურიდიული პირი უნაწილებს აქციონერებს/მოწილებს, კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე.

მუდმივი დაწესებულებისათვის განაწილებულ მოგებად ითვლება ამ მუდმივი დაწესებულების საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან არარეზიდენტი საწარმოსათვის განხორციელებული განაცემი ფულადი თუ არაფულადი ფორმით. მუდმივ დაწესებულებას მიეკუთვნება მოგება, რომელიც მას შეიძლება მიეღოს, როგორც იმავე ან ანალოგიური საქმიანობით დაკავებულ, იმავე ან ანალოგიურ პირობებში მყოფ დამოუკიდებელ საწარმოს.

მოგების განაწილებად ითვლება:

- ა) საწარმოს მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირთან (რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება (მუხლი 97- ე)) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან და მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგზე;
- ბ) კონტროლირებული ოპერაციის განხორციელება, თუ ამ ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს;
- გ) საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან.

თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს განაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს მოგების გადასახადის გადასახდელი თანხისა.

➤ **გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის**

საგადასახადო კანონმდებლობაში დეტალურად გაწერილია ხარჯების ჩამონათვალი, რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებთან, მათ შორის:

- ხარჯი, რომელიც დოკუმენტალურად დადასტურებული არ არის;
- ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიურ პროცენტის ფარგლებს ზემოთ კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი პროცენტი.

მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი გადახდები:

1. შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირის ან მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა;
2. შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირის ან მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირებისთვის გადახდილი ავანსი და სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა;
3. სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა.

აღნიშნული არ ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, საკრედიტო გაერთიანებებზე, სადაზღვევო ორგანიზაციებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებზე.

ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებიც შეღავათიანი დაბეგვრის მქონედ ითვლებიან, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მოგების გადასახადით იბეგრება ასევე, არარეზიდენტის ან მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის განხორციელება ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა.

მოგების გადასახადით იბეგრება ფიზიკური პირისათვის ან არარეზიდენტისათვის სესხის გაცემა ან/და რომელიმე ამ პირის მიერ მესამე პირისაგან აღებული სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხის ოდენობა შეადგენს აღებული სესხის თანხას.

➤ **უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა**

უსასყიდლო მიწოდებად ითვლება საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომლის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება. აგრეთვე, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი მისი გამოვლენის მომენტში.

მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ან/და ფულადი სახსრების გადაცემის ზოგიერთი შემთხვევები, მაგალითად:

- ა) კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულობა, რომელიც მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10%-ს არ აღემატება;
- ბ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების გადაცემა, რომელიც დაბეგრილია გადახდის წყაროსთან (154-ე მუხლი);
- გ) სახელმწიფოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა.

➤ **წარმომადგენლობითი ხარჯები**

კალენდარული წლის განმავლობაში გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობა არის წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 1%, ხოლო თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს – გაწეული ხარჯის 1%.

საწარმოს დაფუძნების კალენდარულ წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა მიმდინარე კალენდარული წლის დასრულებამდე გაწეული ხარჯის 1%.



მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

2017 წლის იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა შემდეგი ძირითადი ცვლილებები:

- დღგ-დ დასაბეგრ ოპერაციად განისაზღვრა საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის მომენტი, როცა თანხის გადახდა განხორციელდა საქონლის მიწოდებამდე/ მომსახურების გაწევამდე;
- უძრავი ქონების მიწოდებისას, თუ თანხის გადახდა არ მოხდა ქონების მიწოდებამდე, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღი, ხოლო თუ საკუთრების უფლების რეგისტრაცია (გადაცემა) დამოკიდებულია ამ დოკუმენტის მხარის (მხარეების) მიერ გარკვეული ვალდებულების შესრულებაზე ან/და პირობის დადგომაზე – ასეთი ვალდებულების შესრულების/პირობის დადგომის თარიღი;
- ფიზიკური პირისათვის ქონებით დაბეგრის ობიექტს დაემატა მსუბუქი ავტომობილები;
- შეიცვალა აქციზის განაკვეთები თამბაქოსა და მსუბუქ ავტომობილებზე.

შესაძლო ცვლილებები „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N 996 ბრძანებაში

ამჟამად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განიხილება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლითაც განისაზღვრება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის (ე.წ ავანსი) გადახდის შემთხვევაში, მიღებული საკომპენსაციო თანხის დაბეგრის წესი.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება: N4/04; N5/04, N2/04

2017 წლის იანვარში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებები (N4/04, N5/04, N2/04), რომლითაც კომერციულ ბანკებს მიენიჭათ უფლებამოსილება უფლებამოსილება გასცენ 100 000 (ასი ათას) ლარამდე სესხები და საბანკო კრედიტები ფიზიკურ პირზე უცხოურ ვალუტაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სესხის გაცემა ხორციელდება საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირზე.



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების N2/04 მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის განისაზღვრა ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და მსესხებელზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების განმარტება.



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 225 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](https://www.facebook.com/deloitte), [LinkedIn](https://www.linkedin.com/company/deloitte), [Twitter](https://twitter.com/deloitte).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიართო კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2017 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.